

საქართველოს კანონი

“სასოფლო სამეურნეო კარანტინის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “სასოფლო სამეურნეო კარანტინის შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ. №23-24) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. საქართველოს საზღვრებზე, საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში, სახმელეთო გასასვლელებში და საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე სახელმწიფო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო ღონისძიებების კონტროლს მცენარეთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროს მიერ დადგენილი წესებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული პოლიტიკის საფუძველზე ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური “.

2. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ განხორციელდეს 2009 წლის 1 იანვრამდე”.

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.